სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - „საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა“ ერთ-ერთი მიმართულების - „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა“, 2026 წლის თემატიკით განსაზღვრულია თემის: „ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობის (ბალყარელები, ყარაჩაელები, ნოღაელები) სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა,“ შესრულება. კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2026 წლის 18 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით, მეცნიერთა ჯგუფმა, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი;** მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**) თანამშრომლებმა მოაწყვეს ექსპედიცია რაჭის რეგიონში, კერძოდ ონის მუნიციპალიტეტში. საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩატარდა სოფლებში: გლოლა, ღები, ჭიორა, შქმერი, ჟაშქვა, სომიწო, ირი და ქალაქ ონში.

შეგროვდა მასალა ეთნიკური ურთიერთობისა და მიგრაციის პრობლემებზე, ქართველებთან ურთიერთობის საკითხებზე; სულიერ კულტურასა და რწმენა-წარმოდგენებზე; ეთნოპოლიტიკურ ვითარებაზე ძველად და ახლა; სოციალური ურთიერთობის (საზოგადოებრივი ყოფა) პრობლემებზე; სამეურნეო ტრადიციების შესახებ; დასახლების ტიპზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე. მოპოვებული მასალა დამუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომებში.